# ყურანი უკანასკნელი გზავნილია

# უკანასკნელი გზავნილი: ყურანი

ღვთიური გზავნილი ღვთის მიერ მოწოდებული ინფორმაციაა, რომელსაც ის შუამავლებს გადასცემს და ისინი ადამიანებს აცნობენ. ღვთიური გზავნილი შეიძლება იყოს ბრძანება, რაიმეს აკრძალვა, შეგონება და ა.შ. ღვთური გზავნილი მხოლოდ შუამავლებისთვისაა. შუამავლების გარდა ღვთიური გზავნილი არავის მოსდის. ეს არის კურთხევა ალლაჰისგან და ის ანიჭებს მას, ვისაც აარჩევს თავის მსახურთაგან. ღმერთმა ადამიანებისგან შეარჩია შუამავლები და მათ გზავნილი მოუვლინა, რათა მათ ეს გზავნილი ადამიანებისთვსი გადაეცათ. ცნობილია, ღმერთმა ზოგ შუამავალს რამოდენიმე გვერდიანი გზავნილი მოუვლინა, ხოლო ზოგს -სრული წიგნი.

ღმერთმა ადამიანი სხვა არსებებისგან გამოარჩია, ღვთიური გზავნილი მოუვლინა და ამქვეყნიურ გამოცდას დაუქვემდებარა. ამით ადამიანს საშუალება ეძლევა განასხვავოს ერთმანეთისგან კეთილი და ბოროტი. საღვთო წიგნები არის ალლაჰის სიტყვები და მისი მიმართვა ხალხისადმი. ეს არის მისი ჭეშარიტი სიტყვების ადამიანებისთვის გასაგებ ენაზე მოვლენილი ვერსია.

ღვთაებრივი წიგნები ერთსა და იმავე არსს და იმავე გზავნილს შეიცავს. მათ შორის რწმენასთან, მორალურ საკითხებთან და საიქიოსთან დაკავშირებით რაიმე განსხვავება არ არის, რადგან ისინი ყველა ერთი და იგივე წყაროდან მოდის. საბოლოო ჯამში ყველა გზავნილის საერთო სახელი ისლამია.

ადრეულ პერიოდში ზოგიერთ შუამავალს პატარა წიგნები, სახელწოდებით „გვერდები“ მოევლინა. მოგვიანებით კი ზედიზედ ოთხი დიდი წიგნი იქნა მოვლენილი. ჰზ. მოსეს თორა მოევლინა, ჰზ. დავითს -ფსალმუნი, ჰზ. იესოს -ბიბლია და ჰზ. მუჰამმედს (ს.ა.ვ) კი -ყურანი.

ალლაჰმა მრავალი შუამავალი მოავლინა, რათა ხალხისთვის სწორი გზა ეჩვენებინა. თუმცა დროთა განმავლობაში ადამიანები შუამავალთა მიერ ნაჩვენებ გზას აღარ მიჰყვებოდნენ და ღვთურ გზავნილს თავიანთი შეხედულებების მიხედვით ცვლიდნენ. ამის გამო, ღმერთმა უკანასკნელი შუამავალი მუჰამმედი (ს.ა.ვ) მოავლინა, რომელსაც უკანასკნელი ღვთიური გზავნილი, ყურანი უწყალობა. ყურანში ღმერთი ბრძანებს, რომ მან ისლამი უკანასკნელ

სარწმუნოებად დაადგინა. (იხ. მაიდე, 5/3). ისლამის გარდა სხვა სარწმუნოება ღვთის წინაშე მიუღებლად გამოცხადდა. (იხ. ალი იმრანი, 3/85). ყურანის მოქმედება ქვეყნიერების დასასრულამდე გაგრძელდება. (იხ. ჰიჯრი, 15/9). ყურანი დაცულია და მისი მოვლინებიდან დღემდე მასში ერთი ასოც კი არ შეცვლილა. ყურანს ღმერთი იცავს და ის არ შეიცვლება.

შუამავალ მუჰამმედს (ს.ა.ვ) პირველი გამოცხადება 610 წელს რამადანის თვეში მოევლინა, როდესაც ის ორმოცი წლის იყო. ამ დროს ის განმარტოებით იმყოფებოდა ჰირას გამოქვაბულში, ნურის მთაზე, მექასთან ახლოს. ეს პირველი გზავნილი ალაქას სურას პირველი ხუთი აიათი იყო.

ღმერთმა ყურანი ანგელოზ ჯებრაილის მეშვეობით შუამავალ მუჰამმედს (ს.ა.ვ) მოუვლინა. ის არაბულ ენაზე იქნა მოვლენილი. ყურანი ერთ მთლიან წიგნადაა შეკრული და მისი წაკითხვა და მოსმენა ღვთისმსახურებად ითვლება. ყურანის წინადადებებს აიათები ეწოდება. აიათების ნაკრები ერთ სურას ქმნიან. ოცი სურასგან შედგენილ ნაწილს ჯუზი ეწოდება. ამრიგად, ყურანი 6236 აიათის, 114 სურასა და 30 ჯუზისაგან შედგება.

ყურანი შუამავალს ერთბაშად არ მოვლენია. მისი მოვლინება 23 წლის მანძილზე გრძელდებოდა. ყურანის მოვლინების ასეთი პერიოდულობა ისლამის სწავლულების

მხრიდან შესწავლის საგანი გახდა და მათი დასკვნით, ეს პროცესი ისლამის მიმდევრებისთვის მრავალ სასარგებლო მახასიათებლებს შეიცავდა. ხალხი ყურანის აიათებს ელოდებოდა და მისდამი ინტერესი არ ნელდებოდა. გარდა ამისა, მოვლენილი აიათების ხალხისთვის გაცნობა და პრაქტიკულ ცხოვრებაში დანერგვა ასე უფრო იოლი იყო. გარდა ამისა, ყურანის მოვლინების პერიოდში არსებული სიტუაცია და მოვლენები იცვლებოდა და ყურანის აიათები საზოგადოებრივ მოთხოვნილებებს პასუხობდა. კონკრეტული მოვლენის შესახებ მოვლენილი აიათები საზოგადოებისთვის უფრო იოლი გასაგები ხდებოდა და ისინი ამ აიათებს პირდაპირ ცხოვრებისეულ მიმდინარეობას იოლად უკავშირებდნენ. ასე თანდათანობით მოვლენილი აიათები ადამიანების გულსა და გონებაში იოლად მკვიდრდებოდა და მანამდე არსებულ მცდარ აზრებს აქარწყლებდა. შედეგად ისლამი ხალხში გავრცელდა და მისი მოქმედება ქვეყნიერების აღსასრულამდე გაგრძელდება.

შუამავალი მოვლენილ აიათებს აწერინებდა და ამ პროცესს თავად აკონტროლებდა. ასევე თავად უთითებდა გადამწერებს, თუ რომელი აიათი რომელ სურაში უნდა დაეწერათ.

შუამავლის გარდაცვალების შემდეგ ხალიფა აბუ ბაქარმა ზეიდ ბ. საბითს ყურანის სურების ერთად შეკრება და წიგნად აკინ-

ძვა დაავალა. შემდეგი ხალიფას, ჰზ. ოსმანის მოთხოვნის საფუძველზე ისევ ზეიდ ბ. საბითის მეთაურობით ჩამოყალიბდა კომისია, რომელმაც ყურანი უცვლელი ფორმით მრავალ წიგნად აქცია. ყურანი შუამავლის მეჩეთში თავიდან ბოლომდე შეისწავლეს, ერთმანეთს შეადარეს და შემდეგ ქვეყნის სხვა და სხვა კუთხეში გაგზავნეს.

ამის შემდეგ ყურანი საუკუნეების განმავლობაში თაობებიდან თაობებს გადაეცემა და მასში რაიმე სახის ცვლილება არ შესულა. ამასთანავე არსებობს ყურანის ზეპირად ცოდნის ტრადიციაც, რომელიც

საუკუნეების განმავლობაში გრძელდება. ყურანის მოვლინების შემდეგ ყოველთვის იყვნენ ადამიანები, რომლებმაც მთელი ყურანი ზეპირად იცოდნენ. ამასთანავე, ყურანის აითითვე დადასტურებულია, რომ ყურანს თავად ღმერთი იცავს:

„ უეჭველად, ჩვენ გარდმოვავლინეთ შეხსენება  და უეჭველად, ჩვენ დამცველნი ვართ მისი “. (ჰიჯრ, 15/9)

ყურანი თავისი ყველა ასპექტით უდიდესი სასწაულია. სასწაულია არა მარტო მნიშვნელობით, არამედ სიტყვებითაც. რადგან ის არის ღვთის სიტყვა და არა ადამიანის.

ამრიგად, შეუძლებელია ვინმემ მისი მსგავსი რამ შექმნას.

„უთხარი: „რომც გაერთიანდნენ კაცნი და ჯინნი, რათა შექმნან მსგავსი ამ ყურანისა, ვერ შექმნიან მის მსგავსს, თუნდაც ერთიმეორეს დაეხმარონ!“ (ისრა, 17/88)

ყურანი არის შეგონება, რომელიც განასხვავებს ჭეშარიტებასა და სიცრუეს. ის გვასწავლის ალალსა და არამს. ის ადგენს ადამიანებს სწორ გზაზე. ის არის შვების მომგვრელი. ეს არის სული, რომელიც აცოცხლებს სულიერად მკვდარ სხეულებს. ეს არის ნათელი, რომელიც აქრობს ურწმუნოების სიბნელეს და ჭეშმარიტებას ადგენს. ის არის წყალობა მათთვის, ვისაც სწამს მისი.

„ჰეი, ხალხო ! თქვენთან ნამდვილად მოვიდა შეგონება თქვენი ღმერთისგან განკურნებად იმისა, რაც გიზით გულებში, ჭეშმარიტ გზად და წყალობად მორწმუნეთათვის!“ (იუნუს, 10/57)

ყურანი მთელი კაცობრიობისათვის მოვლენილი გზამკვლევია. მისი შინაარსი უნივერსალურია. მისი მოქმედება ქვეყნიერების აღსასრულამდე გაგრძელდება.

„არ არს სარგებელი შუამდგომლობისა მის წინაშე, გარდა ვისაც უფლება მიეცა. და როცა შიში დასტოვებს მათ გულებს, ეტყვიან : „რა ბრძანა თქვენმა ღმერთმა?“

ამბობენ: ჭეშმარიტება. და იგი უზენაესია, დიადია“!

„ჰკითხე: „ვინ გაძლევთ სარჩოს ზეციდან და მიწიდან“? უპასუხე: „ალლაჰი! და უეჭველად, ერთ-ერთი ჩვენგანი ან სწორ გზას ადგას, ან ცხად გზააბნევაშია“. (სებე, 34/24)

ყურანი გადარჩენის წყაროა და ცხოვრების გზამკვლევია. ყურანის ამ თვისებებით სარგებლობის მიღება მისი წაკითხვით და გაგებითაა შესაძლებელი. ყურანის კითხვა, მის დებულებებზე ფიქრი, მისი დახვეწილობის გააზრება და მათი ცხოვრებაში გამოყენება მუსლიმის ყველაზე ფუნდამენტური პასუხისმგებლობაა. მხოლოდ არაბულად კითხვა ღვთისმსახურება და მადლია, მაგრამ ყურანის ერთ-ერთი მთავარი მიზანი მისი წაკითხვა, გაგება და მისით ცხოვრებაა.

„ეს უბიწო წიგნი მოვავლინეთ შენთან, რათა შეიგონონ მისი აიათები და რომ განსაჯონ ბრძენკაცთა, ჭკუასაკითხთა!“ (სად, 38/29)

muslim georgia

muslim georgia

რელიგიის საქმეთა სააგენტო

რსს
მამამთავრობა

muslim Georgia volunteer
International charity foundation